ცნობის ფურცელი

№ 1912 | კვირა, 1 სექტემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1912

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი იღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველ ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. ტელეფონი **№ 372**.

ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-56 №-რი

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა **№** 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—4)

ქუთაისის წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის
ამხანაგობის გამგეობა

აცხადებს, რომ შემდეგი მორიგი ვადა ამხანაგობის დროებით პაიების კვიტანციების I-ლი და მე-II სერიის ხვედრის შემოტანისა ახლოვდება (ამ წლის 10 სექტემბერს) და ამიტომ საყოველთაოდ აუწყებს, რომ ეს ხვედრი შემოსატანი მიიღება ქალაქ **ქუთაისში ამხანაგობის გამგეობაში**, აგრეთვე **ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში; ტფილისში განსაკუთრებით სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების ბანკში.**

ნამდვილი და დროებითი (მე-III სერიის) პაიების კვიტანციები ამხანაგობისა მსურველს შეუძლია შეიძინოს: 1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში, 3) მიხეილის სადგურ-ჰამულო ბანკის ხაზინადრის თავ. ი. ა. მიქელაძესთან და 4) შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანთან, ა. თ. ხანეიშვილთან- **ტფილისში:** 1) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრებთან: თავ. რ. ტ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თავ. გ. ნ. დიასამიძეს; თან; **ბათუმში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ფოთში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ჭიათურაში**—შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში. (3—3)

ამომრჩეველთ
მესამე საარჩევნო ნაწილისას

(მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო ნაწილები)

იწვევენ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 1 სექტემბერს, დილის 10½ საათზე ვეტცელის სასტუმროში (შესასვლელი ქსენიას ქუჩიდან). კრებამ უნდა შეადგინოს საბოლოო სია ქალაქის საბჭოს ხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებისა. (2—3)

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა"

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან, მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—3)

სოლოლაკის აფთიაქი
ფარმაციის მაგისტრის
ფ. კ. ოტენისა

აკაბაბოვის სახლიდან **გადავიდა** საკუთარ სახლში, სოლოლაკის ქ. № 8. (2—2)

ფოთის საბუღალტერიო კურსები
ა. კ. გოგანეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—19)

დ. საჩხერეში

მასწავლებელი **სერგეი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს გალობას** ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს საქალაქო სასწავლებლისათვის. (4—1)

ექიმი
დავით ალექსანდრეს ძე
გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და წამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა **№** 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჯ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარსუქოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, **№** 38. (წლ.)

ახალი შეღავათი თავად-აზნაურობას

ამ დღეებში გამოცხადდა ახალი კანონი, რომელიც შესანიშნავს შეღავათს ანიჭებს თავად-აზნაურობას.

ეს ახალი კანონიც შეუმუშავებია იმ საგანგებო რჩევას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თავად-აზნაურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი გამოეძებნა. სხვა ღონისძიებათა შორის, რომელნიც უკვე გამოცხადდნენ, მაგალითად, ციმბირში მიწების მიზომვა უმიწაწყლო თავად-აზნაურთათვის, დეპუტატთა საკრებულოს უფლებათა გაფართოვება და სხვა, ახალს კანონს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: იგი დიდ მატერიალურს დახმარებას აღმოუჩენს დავალიანებულს თავად-აზნაურობას; ამასთანავე ახალს კანონს საგნად აქვს გაალონიეროს თავად-აზნაურობის მიწათ-მფლობელობა და ამით გააძლიეროს იგი, როგორც წოდება...

ახალის კანონით, ყოველ გუბერნიის თავად-აზნაურობას უფლება ეძლევა დაიარსოს **საურთიერთო დახმარების კასსა.** ამგვარ კასსას საგნად ექნება: ა) დაეხმაროს თავადსა და აზნაურს იმ ვალის გადახდაში, რომელიც მათ აუღიათ მამულის გირაოთი და ბ) დაეხმაროს თავადსა და აზნაურს, თუ რამ უბედურება შეემთხვევათ. ასეთის საგნის განხორციელებისათვის კასსას დიდი თანხა დასჭირდება. ეს თანხა შესდგება ასე: 1) ყოველს კასსას ხაზინიდან მისცემენ ერთდროებრივ შემწეობას ხელმწიფე იმპერატორის შეხედულებით; 2) თვით თავად-აზნაურობა გაიღებს ფულს იმდენს, რამდენს საგუბერნიო კრება გადასწყვეტს; 3) ხაზინა 10 წლის განმავლობაში ყოველ წელს შეიტანს კასსაში იმდენს, რამდენიც თავად-აზნაურობიდან იქნება შეტანილი კასსაშივე; გარდა ამისა, კასსა მიიღებს შემოწირულებასა და სხვა. კასსიდან სესხი მიეცემა თავად-აზნაურთ: 1) იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის პატრონი გარდაიცვალა ან მძიმე ავადმყოფი შეიქნა, ან თუ მამული დააზარალა სეტყვამ, მოუსავლობამ და სხვა უბედურ შემთხვევამ; 2) სესხი მიეცემა მათ ბანკებში დაგირავებულ მამულებზე აღებულ ვალის ან სავალო გადასახადის ან პროცენტების გასასტუმრებლად. სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატოს დაგირავებულ მამულის ღირებულობის (როგორც ბანკს დაუფასებია) 90 პროცენტს; სესხი გაიცემა შეღავათიანის პირობებით ხუთის წლით.

უმთავრესი დანიშნულება კასსისა ის იქნება, რომ ყოველი საშუალება იღონოს და თავადს ან აზნაურს ბანკში დაგირავებული მამული არ დააკარგვინოს. ამისათვის, თუ თავად-აზნაური ვერ იხდის სავალო გადასახადს, მას კასსიდან ეძლევა შეღავათიანი სესხი ან თვითონ კასსა იხდის სავალო გადასახადს და ამ ფულს ნაწილ-ნაწილ ახდევინებს მემამულეს. თუ ამანაც არ უშველა მემამულეს, კასსას შეუძლია ექვსის წლით თვით აიღოს მამულის გამგებლობა, მოუაროს მას, გაადიდოს შემოსავალი, გადაიხადოს ვალის ნაწილი და ამ რიგად კარგ პირობებში ჩაყენებული მამული კვლავ დაუბრუნოს თავადსა ან აზნაურს. თუ ამ გზითაც არა ეშველა-რა მემამულეს, კასსას ნება აქვს ბანკისაგან შეისყიდოს მამული თავის საკუთრებად, გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა, გადაიხადოს მასზე დარჩენილი ვალი და შემდეგ გაჰყიდოს; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც უპირატესობა და ყოველი შეღავათი უნდა მიანიჭოს მამულის წინანდელ პატრონს, რათა იმანვე ან მისმა ახლობელ ნათესავებმა შეისყიდონ და უკანვე დაიბრუნონ უკვე კარგ პირობებში ჩაყენებული მამული. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ კასსა სამრეწველო სახელმწიფო გადასახადს არ იხდის, რომ მასთან მიწერ-მოწერა და თხოვნები განთავისუფლებულნი არიან საღერბო გადასახადისაგან, რომ ნასყიდობის საბუთებში უნდა იხადოს უმცირესი ბაჟი.

აი მოკლედ ახალის კანონის შინაარსი. აქედანაც დაინახავს მკითხველი, რა დიდმნიშვნელოვანია ახალი შეღავათი, რომელიც ენიჭება თავად-აზნაურობას იმპერიაში: სახელმწიფო არ ზოგავს არავითარს საშუალებას ოღონდ თავად-აზნაურობას ხელი გაუმართოს და ადგილ-მამული შეარჩინოს. როგორც მკითხველიც ჰხედავს, ახალი კანონი ნამდვილ წოდებრივია: კასსები არსდება მხოლოდ თავად-აზნაურობისათვის და საგნად ექნებათ თავად-აზნაურობის მიწათ-მფლობელობის დაცვა.

კიდევ სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის შესახებ

როგორც სომეხთა და ქართველთა დაახლოვების მომხრეს, გული მიკვდება ხოლმე, როდესაც ქართულ გაზეთში ვკითხულობ: „ამა და ამ სოფელში სომხებმა ქართველების ეკლესია მიითვისეს, ამა და ამ ნანგრევებს ქართული წარწერა ჩამოაცალეს და სანაცვლოთ სომხური გაუკეთესო" და სხ. და სხ... არ ვიცი ეს რა ამბავია? ვერაფრით ამიხსნია და ამიტომ დაჯერებაც მეძნელება. და ან როგორ უნდა დავიჯერო, როდესაც სომხეთში იმოდენა სიძველეთ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ? უყურადღებობით ინგრევა, მიწასთან სწორდება თვით აქამდინ მკვიდრად მდგომი მონასტრებ—ეკლესიებიც-კი!.. სიძველეთა და ნანგრევებს ვიღა ჩივის, როდესაც ეჩმიაწინის ცხვირ წინვე სომხები ათასობით სტოვებენ თავიანთ მშობელ ეკლესიას, იმ ეკლესიას, რომელიც ათას ექვსას წელზე მეტია გულში იხუტებდა, ლოთრანგთა სარწმუნოებას უერთდებიან და, რაც უფრო სამწუხაროა,—თავიანთ მშობელ ერსაც-კი მტრათ უხდებიან!.. (გაზ. „ნორ-დარი" № 115).

და ამის შემდეგ განა ნება არა მაქვს სომეხთა მოღვაწეთ მივმართო შემდეგის კითხვით: მართლა არიან იმისთანა ვაჟ-ბატონები, რომელნიც სომხეთა წარსულის ნაშთების მიწასთან გასწორებასა და მოძმეთა სარწმუნოების გამოცვლას გულ-გრილად შესცქერიან და იმავ დროს კი სხვათა ეკლესიებს ისაკუთრებენ?.. და თუ არიან ამისთანები, სომხეთა უმრავლესობა მათს მოქმედებას **რა თვალით უყურებს**?

საჭიროა ეს ვიცოდეთ, რადგან ჩვენ გვინდა, რომ ქართველებმა და სომხებმა ძმურადა და ერთობით ვიცხოვროთ, წარსული შეცდომები გავასწოროთ და უკეთეს მომავლისთვის ვიზრუნოთ. დიაღ, გვინდა და სასურველიც არის, მაგრამ ზემოხსენებული და მრავალი მაგვარი მიზეზი ერთობის საქმეს წინ ეღობება და ურთიერთობას უფრო ამწვავებს.

გარდა ამისა არ შემიძლიან გავჩუმდე და გულ-დაწყვეტით არ აღვიარო ის გარემოება, რომ ჩვენ, ქართველები და სომხები, ერთმანეთს სრულიად არ ვიცნობთ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ სომხის ჩარჩ-მოვაჭრენი თავიანთ მსხვერპლთ ატყავებენ და ქართველთა ზოგი თავად-აზნაურნი მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მამულ—დედულს უბრალოდ ჰფლანგავენ, ანიავებენ. ეს არის და ესა. ერთმანეთის სულსა და გულში არ ჩაგვიხედნია, ერთმანეთის მაჯისა და გულის ცემა, ჭირი და ვარამი არ გაგვითვალისწინებია... არ ვიცით ან ერთი ერი (დიაღ ერი და არა მოვაჭრე სომეხი ანუ მფლანგავი თავადი) ან მეორე რას ჰფიქრობს, საით მისწრაფვის, რა იდეალებითაა გატაცებული... ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ერთად ვცხოვრობთ, ერთმანეთს ვუცქერით და ერთმანეთისა-კი არა გაგვეგება-რა!..

მარტო საპოლემიკო წერილებით შორს ვერ წავალთ და [illegible] თუ სასურველ მიზანს

მივაღწევთ. საჭიროა **ერთმანეთი გავიცნოთ, ერთმანეთის გულში ჩავიხედოთ და ერთმანეთისავე ლიტერატურა შევისწავლოთ**. და, აი, როდესაც ერთმანეთს რიგიანად გავიცნობთ, მაშინ თვით ეს **გაცნობა** გვაჩვენებს გზას, როგორც უნდა მოვიქცეთ და ან როგორი უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობა. უამისოდკი, რამდენიც უნდა ვიყვიროთ, ხელში ერთმანეთის ლანძღვა-გინების მეტი არა შეგვრჩება-რა.

ახალგაზრდა სომეხი.

საზღვარ-გარედ

იაპონია. ტოკიოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ბარონ შიბურავა ამ ჟამად ბერლინში იმყოფება და გერმანელ ბანკების დირექტორებთან მოლაპარაკება აქვს იაპონიაში გერმანიის ბანკის დაარსების შესახებ. მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა.

ბარონ შიბურავას განუცხადებია, რომ იაპონიის მრეწველობის განვითარებისთვის საჭიროა იაპონიის მთავრობამ უცხოელებს უფლება მიანიჭოს იაპონიაში მიწების შეძენისაო. ბარონს და მის მეგობრებს განზრახვა აქვთ წინადადება მისცენ იაპონიას უცხოელთა შესახებ კანონების რეფორმისა და მოიპოვონ იაპონიის პარლამენტის მომხრეობა.

ინგლისი. ჩემბერლენს და ბურების გენერლებს ბოტას, დელარეის და დევეტს, თათბირი ჰქონდათ, რომელსაც კიტჩენერიც დაესწრო. თათბირი გაგრძელდა ორ საათს. გაზეთ „დეილი მეილ“-ის სიტყვით, ბურების გენერლებს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ: 1) ომის შეწყვეტის შემდეგ ბურებს უნდა მიენიჭოთ ორ წელიწადზე ყველა სამოქალაქო უფლებანი; მთელი მხარე უნდა დაიყოს ავტონომიურ ოლქებათ, კანადის პროვინციებისამებს, რადგან, თუ ასე არ მოხდა, მაშინ მრეწველობის მიმდევარი მცხოვრებნი ხმის უმრავლესობის გამო ბურებს დასჩაგრავენ და ბურების ეროვნება მოისპობა; 2) ბურთა ენა უნდა დარჩეს ყველა სახალხო სკოლაში; 3) იმ ბურებს, რომელნიც სამხედრო ჯაშუშებათ ემსახურებოდნენ ინგლისელებს ომის დროს, არ უნდა მიეცეთ არავითარი თანამდებობა ადმინისტრაციაში. გენერლები ვერ იტვირთებენ მშვიდობიანობის დაცვას სასოფლო ოლქებში, თუ იქ რამე თანამდებობა ექნებათ ისეთ პირებს, რომლებსაც ხალხი მოღალატეებათ სთვლის; 4) სარეკვიზიციო ხელწერილები ბურების მთავრობისა და სხვა მისი ვალები უნდა თავის თავზე მიიღოს ინგლისმა და დააკმაყოფილოს მოვალეები; 5) ფერმების აღსადგენად გადადებულ ფულს უნდა მიემატოს კიდევ სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი (30.000,000 მან.); 6) გენერლებს სურთ აგრეთვე წყალობა კაპის აჯანყებულთათვის და სასჯელის შემსუბუქება, რომელიც ბურთა უფროსებს განუწესეს; 7) თხოულობენ კიტჩენერის პროკლამაციის გაუქმებას, რომლის წყალობით ბევრს ბურთა მეთაურს წაერთვა ქონება.

თუ ჩემბერლენი დათანხმდება ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, მაშინ ბოტა და დელარეი თავის მხრივ იკისრებენ მონაწილეობის მიღებას ტრანსვაალის წარმომადგენლობით მმართველობაში; თუ არა და—განზე გადგებიან. დევეტი არავითარ თანამდებობაზე არა თანხმდება.

ოფიციალურად გამოცხადებულ ცნობებიდანა სჩანს, რომ ინგლისს, თითქმის ნახევარი მილიონი სალდათი დაუყენებია ფეხზე სამხრეთ-აფრიკაში ბურების დასამორჩილებლად. 1899 წლის 1-ლ აგვისტომდე, ე. ი. ორი თვის წინად, ვიდრე ომი დაიწყებოდა, სამხრეთ-აფრიკაში ინგლისს 9 940 ოფიცერი და სალდათი ჰყოლია. 1902 წ. მაისის გასულამდე მისაშველებლად გაუგზავნიათ: მეტროპოლიიდან (ინგლისიდან)—337 ათასი კაცი, ინდოეთიდან—18 ათასი, კოლონიებიდან—30 ათასი. ამასთანავე თვით სამხრეთ-აფრიკაში 52 ათასამდე კაცი მოჰკრიფეს. სულ—448 ათასი. მოკლული იყო 5,700 კაცი, დაჭრილი—22,800. ჭრილობისა და ავადმყოფობისაგან მოჰკვდა სამხრეთ-აფრიკაში—16,200 და ომის გათავების დროს საავადმყოფოებში იყო 9,700. ინგლისში წავიდა 68,500 კარგადმყოფი; ავადმყოფთა, დაჭრილთა და გზაში დახოცილთა რიცხვი 75,400.

ავსტრ-ჰუნგრეთი. ბუდაპეშტში კვლავ თავი მოიყარეს ჰუნგრეთისა და ავსტრიის მინისტრებმა სადამოჟნო ტარიფისა და სხვა კითხვების შესახებ მოსალაპარაკებლად. მაგრამ ვერც ამ თათბირმა მოუღო ბოლო უთანხმოებას და „შეთანხმების“ შესამუშავებლად იმპერატორის თანადასწრებით მინისტრები ვენაში შეიკრიბებიან.

საფრანგეთი. ფინანსთა მინისტრი რუვიე ცდილობს როგორმე აღადგინოს ბიუჯეტში შესავალ-გასავალთა თანასწორობა. ამას წინად მან სახელმწიფო რენტის კონვერსია მოახდინა, რამაც 30 მილიონი ფრანკი შესძინა ხაზინას. ახლა, როგორც გაზეთები ამტკიცებენ, რუვიეს აზრადა აქვს პარლამენტს წინადადება მისცეს გარდასახადის რეფორმისა. ეს რეფორმა შემდეგში მდგომარეობს. ვენახებისა და მიწის პატრონებს უფლება ჰქონდათ თავისი საჭიროებისათვის უაქციზოთ გამოეხდათ არაყი. ჯერ მარტო იმდენიც რომ ეხადათ, რასაც მართლა მეურნეობა მოითხოვდა (10—20 ლიტრი), სახელმწიფოს მაშინაც დიდი შემოსავალი აკლდებოდა; მაგრამ საქმე ის არის, რომ ნამდვილად 100—500 ლიტრ სპირტსა ხდიდნენ და საზოგადოებაში ხშირად გაიგონებდით, ნახევარზე მეტი იმ ალკოჰოლისა, რომელიც იყიდება, თავისუფალია გადასახადისაგანო. ამ პრივილეგიის შესახებ ხშირად ყოფილა ლაპარაკი. 1872 წელს ეს შეღავათი გააუქმეს, მაგრამ სამი წლის შემდეგ ისევ შემოიღეს. შემდეგშიაც რამდენჯერმე განიხილეს ეს კითხვა, ცალკე კომისიებმა შეიმუშავეს და პარლამენტმაც რამდენჯერმე უარჰყო ეს შეღავათი და მოითხოვა მისი მოსპობა, მაგრამ იგი მაინც ხელ-უხლებელი რჩებოდა, რიდგან სენატი არ ამტკიცებდა. სენატთან დავის ასაცილებლად მინისტრად ნამყოფმა კაიომ ამ შეღავათის მოსპობა არ შეიტანა თავის პროექტში, რომელიც სასმელებზე გარდასახადის რეფორმას შეიცავდა; მაგრამ რადგან აქციზი 156 ფრანკის მაგიერ 220 დაადეს ჰექტოლიტრზე, ამიტომ საიდუმლო ხდა უფრო სასარგებლო გახდა და გავრცელდა. ამ შეღავათის პატრონების ინტერესების შეხება ცოტა ძნელი საქმეა, რადგან მათი რიცხვი 1874 წელში 274 ათასი იყო, და 1900-ში კი—822 ათასი მთელ საფრანგეთში. ოფიციალურად ისინი მარტო 100 ათას ჰექტოლიტრსა ხდიან, რაც, მართალი რომ იყოს, უკვე 22 მილიონ ფრანკს ზიანს აძლევს ხაზინას. მაგრამ ნამდვილად ეს რიცხვი ბევრით უფრო დიდია. რუვიეს რეფორმა ფრიად სამართლიანია და სასარგებლო, მაგრამ ძნელი ასასრულებელი. ამიტომ ამბობენ, რომ ამ შეღავათს მთლად არ გააუქმებენ, მაგრამ რუვიე მოითხოვს, რომ სასტიკი კონტროლი იყოს დაწესებული, რომ დანიშნულ დღეს გამოხადონ უაქციზო სპირტი არა უმეტეს 16—20 ლიტრისა.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებამ, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით, 26 და 27 აგვისტოს, სხვათა შორის, განიხილა საკითხი ამის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიხმაროს თავად აზნაურობამ **უმაღლესად ნაბოძები** 20,000 მანათი. წინამძღოლთა სხდომამ, ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, გადასწყვიტა ეს ფული ისევ სტიპენდიების დაარსებას მოახმაროს. აღნიშნულ თანხიდან გადადებულ იქნება 12,600 მან. უმაღლეს სასწავლებლებში 32 სტიპენდიის დასაარსებლად, ასე რომ თითოეულ სტიპენდიანტს მიეცემა 400 მან.; 32 სტიპენდიიდან ხუთი იქნება პეტერბურგის ტეხნოლოგიურსა და 5 სტიპ. სამთო ინსტიტუტში, 5 სტიპენდია მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 5 სტ. სამედიცინო, 4—იურიდიულსა, 4 საბუნებისმეტყველო და 4—ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მოსკოვის უნივერსიტეტში. დანარჩენი 7400 მან. მოხმარდება 24 სტიპენდიის დაარსებას ტფილისის სავაჟო მეორე კლასიკურ გიმნაზიაში, ასე, რომ თითოეულს სტიპენდიანტს შეხვდება 30 მან. მეტი. ეს დადგენილება, აგრეთვე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის 1901 წლის მოგების განაწილების პროექტი დასამტკიცებელად წარედგინება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალ საგანგებო კრებას.

◆ დღეს, 1 სექტემბერს, საქართველოს ექსარხოსი **აკურთხებს ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობის** საძირკველს ვერაზე, სადაც სემინარიის მთავრობამ იყიდა ადგილი 45,000 მანეთად. საძირკვლის კურთხევის შემდეგ დაიწყებენ ამ ადგილზე შენობათა აგებას. სემინარიის მთავრობას აზრადა აქვს ხსენებულს ადგილზე მასწავლებელთ სადგომებიც აგოს.

◆ **ბათუმიდან გვატყობინებენ ხაჩატრიანცის ქარხნის კასირის გაქურდვის შესახებ:** „27 აგვისტოს კასირი ბანკიდან მიდიოდა შუადღისას და თან მიჰქონდა 2000 მანეთი მუშებისათვის დასარიგებლად. როდ შილდის ქარხნის მახლობლად კასსირს გადაეღობა ორი კაცი, თავ-პირ ახვეული და შეიარაღებული. გააჩერეს რა ეტლი, ერთმა რევოლვერი ესროლა, ხოლო მეორემ ფულის აბგა გამოსტაცა. შემდეგ ისევ გადმოხტნენ, გავარდნენ ქალაქიდან და სიმინდებში მიიმალნენ. ქუჩა სავსე იყო ამ დროს ქარხნიდან სასადილოდ მიმავალ მუშებით, მაგრამ ბოროტ-განმზრახველნი არც ამას შეუშინდნენ. დაჭრილი კასირი ყვირილით გადმოხტა ეტლიდან და დაედევნა ავაზაკებს, მაგრამ სიარული ველარ შესძლო და მალე წაიქცა. პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო ბოროტმომქმედთა აღმოსაჩენად“.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ-ნმა ზავადსკიმ მოახსენა სამინისტროს, რომ ტფილისის სურვილია, **ავლაბარში პროგიმნაზია იყოს დაარსებული** და უკეთუ ეს მოუხერხებელი დარჩება, იმ შემთხვევაში ქალაქი თხოულობს საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი დაარსდეს სამექანიკო და სამთო განყოფილებებითაო

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი, სამსახურის გამო, **პეტერბურგს აპირებს წასვლას**.

◆ ამ დღეებში სამინისტროსაგან გამოცემული ცირკულიარი **მოსწავლეთა ფიზიკურ ვარჯიშობის შესახებ** კავკასიის საოლქო მზრუნველმა დაურიგა კავკასიის სასწავლებელთა უფროსებს და დაავალა ამ ცირკულიარის მოთხოვნილების ასრულებას წელსვე შეუდგითო.

◆ ხვალ, 2 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის **საბჭოს** ამ შემოდგომაზე პირველი კრება ექმნება. საბჭომ უნდა განიხილოს 23 ძველი და 8 ახალი საქმე.

◆ ამა მიმდინარე წლის თებერვალს მოსკოვში რუსეთის მეღვინე-მევენახეთა კრება მოხდა. სხვათა შორის, კრებას ლაპარაკი ჰქონდა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღებაც სასურველია **ღვინის ფალსიფიკაციის** წინააღმდეგ საბრძოლველად. კრებას პრინციპიალურად გადაუწყვეტია, დაავალოს მოსკოვის მეღვინეობისა და მევენახობის კომიტეტს შეადგინოს პროექტი წესდებისა, რომელიც მთავრობას უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად. კომიტეტს წესდება უკვე შეუმუშავებია, მაგრამ გადაუწყვეტია დასამტკიცებლად წარდგენამდე დაუგზავნოს განყოფილებებს და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს თავიანთ აზრის გამოსათქმელად; შემდეგ დანიშნოს მოსკოვში მთელის რუსეთის მეღვინე-მევენახეთა წარმომადგენლების კრება აღნიშნულ წესდების გადასათვალისწინებლად. მოსკოვის კომიტეტს ერთი ცალი ამ წესდებისა გამოუგზავნია განსახილველად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის.

◆ დღეიდან ტფილისის ქალაქის გამგეობასა, საკანტროლო და სახაზინო პალატებსა, მთავარ მართებლის კანცელარიასა, საგუბერნიო სამმართველოსა, სასამართლოებსა და სხვა **დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება** დილის 9 საათიდან.

◆ ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში უკვე **დასრულდა მისაღები გამოცდა**. სასწავლებელში მიღებულ იქმნა 42 ქალი, რომელთაგან 34 ქართველია.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა კომისიის მიერ დადგენილი ახალი **ნიხრი** ხორცისა. აღნიშნულ ნიხრით პირველ ხარისხის ხორცი ღირს 11 კაპ., მეორე ხარისხისა—8 კაპ. და მესამე—6 კაპ. ახალი ნიხრი დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქის საბჭოს 2 სექტემბერს.

◆ სამშაბათს, 3 სექტემბერს, ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **კრება** ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატებისა.

◆ ტფილისის **იუნკერთა სასწავლებელში** მისაღები ეგზამენები უკვე დასრულდა. მთხოვნელი იყო სულ 800 კაცი. პირველს კლასში მიიღეს მხოლოდ 120 მოსწავლე. სწავლა დაიწყება დღეს, 1 სექტემბრიდან.

◆ სექტემბერში ტფილისში მოელიან **სატყეო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს** ბ-ნ ტროიცკის, რომელმაც სახაზინო ტყეების მდგომარეობა უნდა გაიცნოს ჩვენს ქვეყანაში.

◆ პოლიცმეისტერმა პოლიციის ბოქაულებს დაავალა, ყოველ უბნის ზედამხედველმა **უთუოდ თვითონ უნდა ჩამოიაროს ყოველი სახლი** და თვითონვე უნდა შეამოწმოს მეეზოვეთა დავთრებში ჩაწერილი ცნობები და შეიტყოს, ვინ სახლობს ამა თუ იმ სახლშიო. ასეთი ბრძანება პოლიცმეისტრისა იმან გამოიწვია, რომ პოლიციელები მარტო მეეზოვეთა დავთრებს სინჯავენ და სახლებში ვინ არიან ბინად—ნამდვილად არ იციან.

◆ კავკასიის მთავრობა შუამდგომლობდა **მიგდებულ-ბავშვთა მდგომარეობის გაწესრიგებას** და ამის შესახები პროექტიც წარუდგინა უმაღლესს მთავრობას. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, საექიმო დეპარტამენტს დაუმტკიცებია ეს პროექტი, რომლითაც უნდა გაამრავლონ მიგდებულ-ბავშთა თვალ-ყურის მგდებელ ექიმთა რიცხვი და გააუმჯობესონ თვით თვალ-ყურის დევნაც. ამას გარდა, ყოველს გუბერნიაში უნდა დაარსდეს მიგდებულ-ბავშვთა სამზრუნველოებიც.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, მიხეილის პროსპექტზე **ზოგ ადგილას ხეები შეჰკვეცონ**, რადგან ტელეფონის მავთულებს ედება ამ ხეების ტოტები და ტელეფონით ლაპარაკს უშლისო.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობა **შეეკითხა კიევის** ქალაქის მოურავს ხმოსანთა არჩევნების შესახებ. გამგეობას უნდოდა შეეტყო როგორ მოექცნენ კიევში იმ ამომრჩევლებს, რომელთაც ორს სხვა-და-სხვა საარჩევნო ნაწილში ჰქონდათ ცენზი. გუშინ კიევის ქალაქის მოურავმა შეატყობინა დეპეშით ტფილისისას შემდეგი: „ასეთი ამომრჩეველნი მონაწილეობას იღებდნენ ორის ხმით თავის საარჩევნო ნაწილში, ან ერთის ხმით თავის საარჩევნო ნაწილში და მეორეს ხმით (ვექილობით) მეორე საარჩევნო ნაწილში. ხმოსნობაზე თვითაც იყარეს კენჭი ორსავე საარჩევნო ნაწილში და სხვასაც მისცეს ხმა; იმ ამომრჩეველთ, რომელნიც პირველ კრებაზე გააშავეს და ხმოსნად არ ამოირჩიეს, ხელმეორედ კენჭი იყარეს დამატებით არჩევნების დროს“.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ „დვარცოვი ნომრებისა“ ძ სოლოლაკელთა ჯგუფებმა არ მოიწონეს პირველ ნაწილის ამომრჩეველთაგან შედგენილი ახალ ხმოსნებად დასახელებულთა სია და თავის კანდიდატების სიის შედგენას შეუდგნენ. პირველი ნაწილი აღარ იკმარეს ამ ჯგუფებმა და ახლა **ქალაქის მეორე საარჩევნო ნაწილშიაც გადასულან** და აქაც იმდენი მოუხერხებიათ, რომ იქაურ საკანდიდატო სიაში თავიანთის ჯგუფის მოაზრენიც შეუტანიათ. როგორც ყველამ კარგად იცის, ამ ნაწილში უფრო მოვაჭრეთა ცენზის პატრონნი არიან და პირველსა და მეორე ნაწილის ამომრჩევ რიცხვზე გაცილებით უფრო ბევრნი აქ ამომრჩევლები. ისიც საყურადღებ რომ ამ ჯგუფს ბევრი ისეთებიც არ შეუტ ნიათ საკანდიდატო სიაში, რომელნიც კარგის ქონების პატრონნი არიან.

◆ ქალაქი თავისს ხორცის მაღაზიებისათვის უფრო ბაიდარზე (ზამთრის იალაღებია) ჰყიდულობდა საკლავ საქონელს და იქიდან რკინის გზით მოჰყავდა ქალაქს. რადგან რკინის გზით მოყვანა საქონლისა უფრო ძვირად დაუჯდება ქალაქს, ვიდრე ხმელეთით მორეკვა, ქალაქის გამგეობა დაეკითხა ბეითალთა ინსპექტორს, შეუძლია, თუ არა ქალაქს ხმელეთით თავისს საქონლის ბაიდარიდან მორეკვა. თუ უარი მოუ-

ვიდა, ქალაქს განუზრახავს, როგორც გვითხრეს, უფრო შორეულ ადგილებში შეიძინოს საქონელი და არა ბაიდარში.

◆ პოლიცმეისტერმა მოახსენა ტფილისის გუბერნატორს, რომ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, დაბალ **პოლიციელთა რიცხვს კიდევ მოუმატოთ.** პოლიცმეისტერის პროექტით, უნდა შეადგინონ სათადარიგო რაზმი პოლიციელთა, რომ საჭიროების დროს გამოიწვიონ ისინი სამსახურისათვის. ამიტომ ჯამაგირიც უფრო ნაკლებია ამათთვის ნაანგარიშევი. სულ პოლიციელთა სათადარიგო რაზმისათვის წლიური ხარჯი შეუდგენია პოლიცმეისტერს ცხრაას თუმნამდე.

◆ გუშინ, 31 აგვისტოს, პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რადგანაც მთავარ-მართებელი აღლუმის დროს დიდუბეში ჯარს დაათვალიერებს, საჭიროა განკარგულება მოახდინოთ ელისაბედის, დიდუბის და მიხეილის ქუჩების ალ-გალაგ შესაკეთებლად და დღეში ორჯერ—დილასა და ნაშუადღევს—ამ ქუჩების მოსარწყავადაო.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ ამას წინად ტფილისის ვაჟთა პირველ საკვირაო სკოლას 300 მანეთი დაუნიშნა ამ წელს. გუშინ აღნიშნულ სკოლის გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას მისცეს ეს 300 მანეთი.

◆ მოგვყავს დამატებითი ცნობები იმ ამბის შესახებ, რომელიც მუხრანის ბორანთან 29 აგვისტოს მოხდა: მკერვალი არტემ ავაქიანცი თავის ამხანაგებს ჯერ 29 აგვისტოს აბანოში წაუყვანიათ, შემდეგ მიუწვევიათ დუქანში და ძალზე დაუთვრიათ მერე წაუყვანიათ რკინის გზის სადგურზე, საიდანაც თავიანთ სახლში დაბრუნებულან ღამის 1 საათზე. ავაქიანცი როცა მიახლოვებია თავის ბინას, ბოროტ-მოქმედთ არ გაუშვიათ და ძალათ ჩაუთრევიათ მტკვრის პირას, სადაც ჯერ გაუხდიათ მისთვის ფიჯაკი და მტკვარში გადაუგდიათ, შემდეგ წაუქცევიათ, წინდაწინვე მომზადებული რგოლებიანი ბაწარი წაუჭერიათ ყელში და დაუწყიათ ხრჩობა. ამ დროს იქვე მცხოვრებ პოლიციელის კირიუკოვის ცოლი გამოსულა რაღაც საქმისათვის გარედ (ღამის 2 საათი ყოფილა) და შეუნიშნავს, რომ რაღაც ხრიალებდა. დაუნახავს, რომ ორი კაცი აწვალებდნენ, ახრჩობდნენ მესამეს. ქალს მეეზოვესათვის შეუტყობინებია, რომელსაც აუტეხნია ხმაურობა. ამ ხმაურობაზე ბოროტ-განმზრახველნი გაქცეულან. მეეზოვეთ მოუსწრიათ გაქცეულთაგან ერთის დაჭერა, რომელიც ვოსკანოვი გამოდგა, ამ დროსვე ბოქაულიც მისულა. მალე დაუჭერიათ მეორე ბოროტ-გამზრახველიც ბახშო არუთინოვი. ჯერ ვერ გამოურკვევიათ, რა მიზეზმა აიძულა ბოროტ-გამზრახველნი ასეთის საქციელის ჩასადენად. გამოძიებაა დანიშნული ამ საქმის გამოსარკვევად და დანარჩენ დამნაშავეთა აღმოსაჩენად.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 26 აგვისტოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში მეორე ვაჭრობა მოხდა საკუთრივ იმ სოფლის მამულებისა, რომლებზედაც გაცემული სესხის ხვედრი შემოსატანი თავისი დროზე არ უზღვიათ ბანკისათვის. სულ 75 მამული იყო გასასყიდად გამოცხადებული, მაგრამ მყიდველი მხოლოდ შვიდი მამულისა გამოცხადდა. გაყიდული მამულები ყველა ქართველებისა იყო და მყიდველიც ყველა ქართველი აღმოჩნდა. დანარჩენი მამულების გაყიდვა 21 სექტემბრისათვისაა დანიშნული.

◆ ქუთაისის გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დასრულდა. თავისუფალი ადგილი, როგორც ვიცით, მხოლოდ უფროს მოსამზადებელში იყო. საეგზამენოდ 140 ყმაწვილი გამოცხადდა, ამათგან მხოლოდ 35 მიიღეს. ამდენივე მაისის ეგზამენით მიიღეს, ასე რომ სულ მიიღეს 70 ყმაწვილი, მაშინ როდესაც ეგზამენს მაისში და ეხლა იჭერდა სამასზე მეტი ყმაწვილი.

რეალურ სასწავლებელში 276 ბავშვი მიიყვანეს ეგზამენზე და აქაც 70-მდე მიიღეს, დანარჩენები კარს-გარედ დარჩნენ.

უკეთესი ამბები არც სხვა სასწავლებლებშია: საქალაქო სასწავლებელში 80 ადგილზე 400 ყმაწვილი სთხოვდა მიღებას: როგორც ჰხედავთ, აქაც სამასზე მეტი ბავშვი სასწავლებელს გარედ დარჩა.

როდემდე?

◆ გიმნაზიის მთავრობას მშობლებმა ხელმოწერილი ქაღალდი მიართვეს: სთხოვენ, ჩვენის ხარჯით უმცროსი მოსამზადებელი კლასი გაჰხსენითო. ამ გვარის სათხოვარით შარშანაც მიჰმართეს გიმნაზიის მთავრობას და სათხოვარი შეიწყნარეს. იმედი აქვთ, წელსაც შეიწყნარებენ უიმედოთ დარჩენილ მშობლების სათხოვარს.

როგორც გვითხრეს, ამ გვარისავე სათხოვარით რეალურ სასწავლებლის მთავრობასაც მიჰმართეს ბავშვების მშობლებმა.

◆ ჩვენი მეფურნეები, როგორც იქმნა, საგონებელს ჩავარდნენ და შეითვისეს სისუფთავის საჭიროება: ზოგი მეფურნე ეხლა დამაზად გამოიყურება, რადგან მოხდენილად მოაწყვეს. პურის საცხობი მოაცილეს პურის საწყობსა და ეხლა პურის საწყობად შუშებიანი უჯრები შემოიღეს, ასე რომ აქამდე პურის მყიდველი თუ პირ-და-პირ პურებში ურევდა ხელს, ეხლა პურები უჯრებში არის დამაზად ჩაწყობილი და არც მყიდველის ხელი ჰხვდება და არც ბუზი აჯდება.

კარგი იქნება ამ მაგალითს ყველა მეფურნე მიჰბაძავდეს.

◆ 27 აგვისტოს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ოზურგეთის მცხოვრების გლეხის ბ—ონ თ—ძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა იმავე ქალაქის მცხოვრების, გ—გი ჯ—ის მოკვლა. თ—ძეს ჯ—ის ცოლი შეჰყვარებია და განუზრახავს ჯ—ის მოკვლა და იმის ცოლზე ჯვარის დაწერა.

სასამართლოს დამნაშავედ იცნო თოხაძე, ყოველივე ღირსება ჩამოჰხსნა და ათის წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა.

პრესსა

ამ ბოლოს დროს, სასწავლებელთა სიმცირის გამო, საკონკურსო ეგზამენები საშუალო სასწავლებლებში შემსვლელთათვისაც გაახშირეს. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ეგზამენს აჭერინებენ პედაგოგთა კრებულის წინაშე დ̃ მრავალის ხალხის თანადასწრებით თითის ტოლა ბავშვებს, რომელნიც უცხო კაცთან ლაპარაკებასაც კი ვერ ახხერებენ. ძალიან ხშირად ბავშვი, წერა-კითხვის მცოდნე და კარგად მომზადებული, სწორედ ამ მიზეზით ვერ იჭერს ეგზამენს. განა ასეთის ეგზამენით შესაძლებელია ბავშვების ნიჭისა და ცოდნის დაფასება?

9 და 10 წლის ბავშვთა ნიჭის დაფასებას,—სწერს «სევერ. კრ.»-ის გარემოებაც უშლის ხელს, რომ ყველა ბავშვი ერთნაირად არა ვითარდება; ზოგი ადრე და მალე ვითარდება, ზოგი გვიან და ნელ-ნელა. ზოგი ბავშვი მალე ითვისებს ყველაფერს, მაგრამ საქმეს ღრმად არ უკვირდება, ზოგი კიდევ გვიან, სამაგიეროდ იკვლევს და იძიებს ყოველსავე წვრილმანს.

ესეც არ იყოს, როგორცა ვთქვით, თვით ეგზამენი ყველაზედ ერთნაირად არ მოქმედებს.

ზოგი ბავშვი მორცხვია, მშიშარა, ამიტომ საეგზამენო ოთახი შიშის ზარსა ჰგვრის; ზოგი კიდევ გულადი, რომელიც უშიშრად ახერხებს პასუხის მიცემას. განა შეიძლება ასეთ პირობებში კაცმა გაიგოს, რომელია ნიჭიერი და რომელი არა? მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ეგზამენი მეტად ცუდად მოქმედებს ბავშვის სუსტ და ჯერეთ არ გამაგრებულს ორგანიზმზედ. თუ ჩვეულებრივი ეგზამენი თხოულობს მოსწავლისაგან პროგრამის ცოდნას, საკონკურსო ეგზამენი ამას არა სჯერდება: ბავშვი არა თუ მომზადებული უნდა იყოს, სხვა მომზადებულ ბავშვებსაც უნდა სჯობდეს, რომ სასწავლებელში მოჰყვეს. ამის გამო მოსწავლეს დიდი მომზადება და მეცადინეობა სჭირდება. ხშირად 9 და 10 წლის პაწია ორის თვის განმავლობაში ეგზამენებამდე წიგნს უზის და დღეში თორმეტ საათს ჩაჰკირკიტებს. რაღა თქმა უნდა, ასეთ მეცადინეობას საკეთილო არა მოჰყვება-რა არც სხეულისა და არც გონებისათვის.

თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა მხნედ შეუდგა მუშაობას მომავალ სეზონისათვის. ერთი თვეა ქართულ თეატრში მუშაობა არ შეჩერებულა. გამგეობამ უკვე დაამზადა ახალი დეკორაციები, შეღება შიგნით თეატრი, გამართა ამფითეატრი და სხვა.

დასიც უკვე შესდგა. გამგეობას აზრადა ჰქონდა დიდი დასი შეედგინა და წარმოდგენები ტფილისის გარდა სხვა ქალაქებშიაც ემართნა, მაგრამ, სამწუხაროდ, გამგეობისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ეს პროექტი ვერ განხორციელდა. წელსაც, როგორც წინად, საზოგადოების გამგეობა მარტო ტფილისში გამართავს წარმოდგენებს. მიწვეულნი არიან შემდეგი მსახიობნი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ნ. გამყრელიძისა, კარგარეთლისა, ლეჟავა დ̃ სხვანი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, აწყურელი, გ. გედევანოვი, შათირიშვილი, ივანიძე, მირიანაშვილი დ̃ სხვანი. დროგამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ქ-ნნი ნინა ჩხეიძე, ანდრონიკაშვილისა, ბ-ნი ბალანჩივაძე და სხვანი. რეჟისორად ისევ ვ. გუნია იქმნა დანიშნული.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გამგეობამ რეპერტუარს. აზრადა აქვს წლეულს რაც შეიძლება მეტი ახალი პიესა წარმოადგინოს. წარმოდგენები გაიმართება ხუთშაბათობითა და კვირაობით. რადგანაც წელს თეატრში საოპერო დასის წარმოდგენები იქნება, იაფ-ფასიანი წარმოდგენები დილაობით გაიმართება.

როგორც შევიტყეთ, წელს გამგეობისთვის ხუთ ქალსა და კაცს გამოუცხადებია სურვილი თეატრში შესვლისა. თუ მსურველი ბევრი აღმოჩნდა, გამგეობა გამოსაცდელ წარმოდგენას გამართავს. მსურველთ უნდა მიჰმართონ გამგეობის (კანტორას) ქართულ თეატრის გვერდით.

წერილი სამტრედიიდან

ბაზრის მოუწყობლობა.—ქუჩების უსუფთაობა.—ყასბებისა და მეპურეების თავ-გასულობა.—ცეცხლის გაჩენა.—სასწავლებელნი

ჩვენი დაბა დღესაც ისევე უსუფთაო და მოუწყობელია, როგორც რამდენისამე წლის წინად იყო, თუმცა აქაური ვაჭარნი ყოველ წელს 480 მანეთს იხდიან. ნეტა რად გვახდევინებენ ყოველ წელს 480 მანეთს, თუ ბაზარს არ მოგვიწყობენ და არ გაგვისუფთავებენო, გაიძახიან მალ-მალ ვაჭარნი. სანიტარულის მხრივ სამტრედია მეტად დაქვეითებულია. სისუფთავეს ჩვენი დაბა მაშინ ეღირსება ხოლმე—და ისიც ერთის დღით, როდესაც მთავრობის რომელიმე მოხელე აპირობს მოსვლას. მაშინ კი შეიქნება დარაჯების სირბილი ბაზარში: არიქა, დაჰგავეთ და დაასუფთავეთო, გაიძახიან. რამდენიმე თვეა რკინის გზის უფროსის ივანოვსკის განკარგულებით რამდენიმე ვაგონი ხრეში დაუთმო უფასოდ დაბას პირველის ქუჩის მოსაკენჭად, მაგრამ ჩვენი „მამების“ წყალობით ხრეში ხსენებულ ქუჩის მესამედ ნაწილს მოანდომეს. ხსენებულ ქუჩებზე ღამე გავლისაგან ღმერთმა დაგიფაროთ. არ შეიძლება სადმე არ წაეხეხოთ და ან ფეხი არ მოიტეხოთ, ან ხელი.

გაჭირვებაში ვართ ყასბებისა, მეპურეებისა და მიკიტნების წრეს-გადასულ ქცევისაგანაც. შეუძლებელია ყასბმა მუშტარს გირვანქა ხორცში 10—12 კაპ. არ გადაახდევინოს და შიგ 3 დღის აყროლებული ხორციც არ შეაპაროს. ასევე იქცევიან მეპურეები, რომელნიც მეტად ძვირად ჰყიდიან პურს, უფრო ხშირად-კი ცომს.

კარგი იქნება, აქაურმა მცხოვრებლებმა და ხელოსნებმა საამხანაგო საყასბო და პურის დუქნები გახსნან, საიდანაც, თუ სხვა არაფერი, კარგის ღირსების ხორცსა და პურს მაინც მიიღებენ: მაგრამ ამ საქმისათვის ხომ გულ-შემატკივარი კაცია საჭირო?

22 აგვისტოს, ღამის 3 საათზე მეორე ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ხის დუქნებს და 11 დუქანი სრულიად გადიბუგა. ეს დუქნები უფრო ხელ-მოკლე ხელოსნებისა და წვრილ ვაჭრებისა იყო. დღემდე ჩვენს დაბას ცეცხლის საქრობი მანქანა არა აქვს და არცა ფიქრობს ვინმე იმის შეძენისათვის.

28 აგვისტოს, ღამის პირველ საათზე, როდესაც მემანქანემ ალექსანდროვსკიმ ორთქლ-მავალი ნავთის ბაკთან მიიყვანა ნავთის ჩასასხმელად, ორთქლ-მავალს ცეცხლი გაუჩნდა. ავარდნილმა ალმა გადმოაგდო ბაკის აივანზე მდგომი დეპოს მუშა ნ. ჯიშკარიანი, რომელსაც ცეცხლმა დაუშავა სახე და მარჯვენა ხელი. ამ დროს ბაკის აივანზე შევარდა მორიგე მემანქანე ეჯიბია და სწრაფად დაჰკეტა ბაკის კრანი, რომელშიაც 2000 ფუთი მაზუთი იყო. ეჯიბია რომ ასე არ მოქცეულიყო, ცეცხლი შიგ ბაკში შევარდებოდა და დიდი უბედურება დატრიალდებოდა. დაიწვა ორთქლ-მავალი და ბაკის აივანი.

უკვე დამტკიცდა ერთ კლასიანი საქალებო სასწავლებელი, რომლისთვისაც დაქირავებულ იქმნა აქაურ ორ-კლასიან სამინისტრო სკოლის პირდაპირ ფ. ნიკურაძის ხის შენობა წელიწადში 100 მანეთად. ამ სკოლის მასწავლებელ ქალისათვის ხაზინას წელიწადში 360 მან. აქვს გადადებული.

29 აგვისტოს აქაურ ორ-კლასიან სამინისტრო სკოლის გალავანში სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ-ნ მაჭავარიანის თანდასწრებით ადგილობრივ მცხოვრებთა, ვაჭართა და ხელოსანთა კრება მოხდა. კრებამ დაადგინა სთხოვოს მთავრობას 4 კლასიან საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ხანდრო.

დაბა-სოფლები

ნოსირი (სამეგრელო). ამ სოფლის მცხოვრებნი ბოლო დრომდე არ ვიყავით ბედის მომდურავნი, რადგანაც მოსავალი ბლომად მოგვდიოდა. მაგრამ ოთხი წელიწადია მიწამ გვიღალატა და მოსავალმა იკლო. ამას ზედ ერთვის უგზოობაც: კისრამდის ტალახში ვიფლობით; ხარი და ურემი ვერ გაგვიყვანია. ზედაც გადმოხეთქა მდინარე ტეხურმა, რომელიც ჩვენ სოფელს ჩაუდის. მდინარე იტაცებს ყანებს, შედის სახლებსა და ბაღებში და აოხრებს ყველაფერს. ანგარიში არ არის, რამდენ წვრილ-ფეხა საქონელს იტაცებს და აღრჩობს. ხშირად გაიგონებთ წელს წივილ-კივილს: იძახიან, გვიშველეთ, წყალი მოვიდაო; ზოგი ბავშვებს ეძებს, ზოგი საქონელს. ისეთი მცხოვრები არ არის, რომლისთვისაც წყალს ზარალი არ მიეყენებინოს, არ არის იმისთანა მოსახლე, რომლისთვისაც წყალს არ მოეტაცნოს და არ წაეხდინოს სამი-ოთხი ქცევა მიწა. ზოგს გლეხს მიწა აღარც-კი დარჩენია.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ უბედურების გარდა ციებ-ცხელებაც ძლიერ მძვინვარებს ჩვენს სოფელში. არ არის ოჯახი, სადაც სამი და ოთხი ავადმყოფი არ იწვეს. ხოლო ექიმის მოყვანა შეუძლებელია ცუდის გზის მიზეზით. ჩვენი გაჭირვება ვაცნობეთ მაზრის უფროს და ვსთხოვეთ, ყურადღება მიექცია უგზოობისათვის, მაგრამ დღემდე ვერას გეღირსეთ.

ტეხურის პირელი.

ვაჩნაძიანი (კახეთი). ვაჩნაძიანმა ამ ბოლო დროს ფეხი წინ წასდგა. სხვა რომ არა იყოს-რა, ვაჩნაძიანის საზოგადოებამ ორ სხვა საზოგადოებასთან ერთად სასოფლო საავადმყოფო დაარსა. ამ საავადმყოფოს დაარსება ჯერ ისევ ორის წლის წინად მოიწადინეს, მაგრამ ნებართვა წელს მოუვიდათ. ნებართვის მიღების უმალვე შეუდგნენ ფულის მოგროვებას. თუმცა დაბრკოლება ბევრი აღმოჩნდა, რადგანაც მცხოვრებნი უმოსავლობის გამო ძრიელ შევიწროვებულნი არიან, მაგრამ მაინც, როგორც იყო, შეაგვეს საჭირო თანხა და წარუდგინეს თელ. მაზრის უფროსს საავადმყოფოს მოწყობისათვის. მთავრობის მოწონების თანახმად, შეადგინეს კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა საზოგადოებიდან თითო კაცი და რომელმაც უნდა იზრუნოს საავადმყოფოს შენახვისათვის. ამის შემდეგ დაიჭირეს სახლი. მოვიდა ექიმიც, თავ. ერისთავი. 25 აგვისტოს მოუვიდათ მოწყობილობა, წამლები, ავეჯი და სხვ., და საავადმყოფომ დაიწყო მოქმედება, თუმცა კი ჯერ ოფიციალურად არ გახსნილა.

რა გაიგო ხალხმა ექიმის მოსვლა, სიხარულით მიეგება ამ ამბავს და დაიწყო იმასთან სიარული და შინ მიწვევაც, მით უმეტეს, რომ ახლო სოფელში გადამდები სენია გავრცელებული. ეს სენი ივნისის შუა რიცხვებში გაჩნდა სოფ. ურიათუბანში და ბევრი ადამიანიც იმსხვერპლა. ისე კვირა არ გავიდოდა, რომ 3—4, ხან მეტიც არ მიებარებინათ მიწისთვის. ამ ავადმყოფობით უფრო პატარები იხოცებოდნენ, თუმცა კი დიდრონიც ბევრი გამოესალმა წუთი-სოფელს. ადმინისტრაციამ მაშინვე ზომები მიიღო, სამაზრო ექიმი ხშირ-ხშირად გამოდიოდა ხოლმე და ამას გარდა ორი ფერშალიც იქვე იყო და ავადმყოფებს სწამლობდნენ, მაგრამ აქამომდე სრულებით ვერ მოისპო, თუმცა კი ისე აღარა ზარალდება ხალხი, როგორც წინად. სამაგიეროდ ახლა ეს სენი ახლო მდებარე სოფ. შაშიანს ეწვია და ს. კალაურშიაც გადავიდა. კიდევ კარგი, თუ ამ სოფლებში ისე არ გავრცელდა, როგორც ურიათუბანში.

დიმიტრაშვილი.

ყვირილა (იმერეთი). უსუფთაობით ყვირილა სხვა ჩვენს დაბებს არ ჩამოუვარდება. აქაურს ქუჩებსა და სავაჭრო მოედანზე გავლა ამ უსუფთაობის გამო მეტად ძნელია. დაბას დაქირავებული ჰყავს ქუჩა-მოედნის მწმენდელნი, მაგრამ არ ვიცით, რატომ არ ასუფთავებენ. ალბათ, ამასაც ძალა და საჩივარი უნდა.

მოახლოვდა შემოდგომა და აქაური სავაჭრო მოედანი აივსო სხვა-და-სხვა ხილით. ჯერ კიდევ დაუმწიფებელს ყურძენს და ვაშლს ბუზივით ედება ხალხი. ამიტომაა, რომ როგორც დაბასა, ისე ახლო-მახლო სოფლებში გავრცელდა მუცელა, რომელიც მუსრს ავლებს ბავშვებს. მოსავალს კაი პირი უჩანს: სიმინდის მშვენიერი ყა-

ნები, ვენახების მსხმოიარება და პურის კაი მოსავალი დიდს იმედს აძლევს აქაურ მუშა ხალხს.

აქაურს ეკკლესიაში მოძღვრის დეკ. დ. დამბაშიძის მეცადინეობით 6 მარიამობისთვიდან დაარსდა სამუდამო ქართველ მგალობელთა დასი, რომელიც ყოველ წირვა-ლოცვაზე გალობს და რომელსაც ეკკლესიიდან დაენიშნა წლიური ჯამაგირი.

ჩვენს საქალაქო სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი, მეტად დიდია. შორაპნის მაზრის სკოლებიდან ყველა აქ მოეშურება. ინსპექტორს აზრათ აქვს პირველ და მეორე კლასს გარდა მოსამზადებელი კლასიც გახსნას ხამ ბავშვთათვის. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ გადასახადს, რომელსაც აქ დაბალ სკოლებში ახდევინებენ, მოსამზადებელი კლასის გახსნა დიდს შეღავათს მისცემს ყველას და გამოიხსნის დიდ ხარჯიდან. სასწავლებლისთვის შენობა მეტად ცუდს ალაგზეა დაწყებული; ჯერ ერთი დაბის განაპირშია და მერე ისეთს დაბალს ალაგზე, რომ საძირკვლის გათხრის დროს ორ არშინზე წყალი გამოჩნდა. ამის გამო შენობა ერთ სართულიანი შენდება. საკვირველია, როცა უკეთესი ალაგები ჰქონდათ შეწირული, რატომ იქ არ დაიწყეს შენობა?

საჩხერელი

უცხოეთის წვრილი ამბები

ტელეფონისა და რენტგენის სხივების მომგონნი. ოთხმოციან წლების პირველ ხანებში შემოიღეს ტელეფონები ამერიკაში და გერმანიის ფოსტის უწყებამაც ამ დროსვე განიზრახა ტელეფონების მართვა. ამ დროს დავა ატყდა იმაზე, ვინ უნდა ჩავთვალოთ ტელეფონის პირველ მომგონელადაო. გერმანელები მაგრად იცავდნენ ფრისსდორფის მასწავლებლის ბ-ნ რეისის უფლებას, ამერიკელები და ინგლისელები-კი ამტკიცებდნენ ტელეფონის მომგონი ბელლი არისო.

როგორც სჩანს, არც ერთი და არც მეორე არ უნდა იყოს ტელეფონის მომგონი და ამის სახელი საფრანგეთის ერთ-ერთ სადგურის უფროსს უნდა დავუთმოთ. ეს კაცი-გვარად ბურსელუ—ამ ორმოცდა ათის წლის წინად—ყოფილა სადგურის უფროსად, მაგრამ იმის ცხოვრებისა და ვინაობის დაწვრილებითი ცნობები ამ ჟამად არსად სჩანს. ამის შესახებ ამბავი აღმოუჩენიათ ეხლა 1854 წლის ჟურნალ „დიდასკალია“-ს მე-232 ნომერში, სადაც ისე დაწვრილებითაა აწერილი ტელეფონის მოწყობილობა, რომ ბევრად თუ ცოტად მცოდნე მაქანიკისა ადვილად შეიგნებდა ამ მოწყობილობას და მომართავდა კიდეც, ისე რომ სამოცდა ათ წლებში, გამოქვეყნებულის ტელეფონის შესახებ ცნობები ადვილად შეეძლო ამ ჟურნალიდან შეეთვისა ბ-ნ რეისსაც.

რენტგენის სხივების შესახებაც ასე ითქმის, რადგან აქაც წინამორბედი ყოფილა. თურმე 1846 წელშიაც სცოდნიათ რენტგენის სხივები, მაგრამ ამ სხივების პირველად აღმომჩენის გვარიც არ იციან. იგივე ჟურნალი „დიდასკალია“ რენტგენის სხივების გამოგონებას პირველობას არ აკუთვნებს ვირცბურგის მეცნიერს. ამ ჟურნალის 1846 წლის მე-60 ნომერში „წვრილ ამბებში“ ასე სწერია თურმე: „ეხლა ექიმები ძალიან გაჰკვირდებიან. ერთ ბელგიელ ბუნების მეტყველს აღმოუჩენია თურმე შემდეგი: ადამიანის გვამს რომ ელექტრონის სხივი მიანათო, ისე გაამჭვირვალებს გვამს, რომ ადვილად შეიძლება კაცმა დაინახოს ნერვებისა, არტერისა და ვენის სისხლის მოძრაობა და შეისწავლოს იგი“.

როგორც სჩანს, ბელგიელ მეცნიერს უფრო მეტი აღმოუჩენია, ვიდრე ბ-ნ რენტგენს, იმიტომ რომ იმას უფრო მეტი დაუნახავს ბ-ნ რენტგენზე. ვინ იცის, 1846 წლის ბელგიური გაზეთეთები რომ გადასჩხრიკონ, იქნება კიდევაც აღმოაჩინონ რენტგენის წინა მორბედის გვარი და სახელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აგვისტო

კურსკი. ხელმწიფე იმპერატორმა ვოკზალის დიდს დარბაზში ჩამოუარა თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „მე მოხარული ვარ, რომ ვხედავ იმ წოდების წარმომადგენელთ, რომელსაც ხელმწიფეები სათნოებით ეპყრობოდნენ ტახტისათვის ერთგულისა და თავ-განწირულის სამსახურისათვის. დაუვიწყარმა მამაჩემმა, რომელმაც ჩემი პაპის სახელოვან საქმეების დასრულებას მიჰყო ხელი, მოგიწოდათ თქვენ გლეხთა მართვა-გამგეობის ხელმძღვანელად. ამ საქმეში მემსახურებით მე არა შიშით, არამედ სვინიდისის ქვეშე. მადლობელი ვარ სამსახურისათვის მე ვიცი, რომ სოფელში ცხოვრება მოითხოვს განსაკუთრებით ზრუნვას. თავად-აზნაურთა მიწის-მფლობელობას ცუდი დრო დაუდგა; მაგრამ მოუწყობელია გლეხთა საქმეც; ამ საქმის გასაუმჯობესებლად, ჩემის ბრძანებით, შეუდგნენ საჭირო ღონისძიებათა შემუშავებას. ამისათვის მოწვეულნი იქმნებიან საგუბერნიო კომიტეტები ერობისა და თავად-აზნაურთა მონაწილეობით. რაც შეეხება ადგილობრივ მიწათ-მფლობელობას, რომელიც წეს-რიგისა და რუსეთის ზნეობრივ ძალის ქვა-კუთხედს წარმოადგენს, იმისი გაძლიერება ჩემთვის მუდმივად საზრუნველი იქნება“. შემდეგ ხელმწიფე მიუბრუნდა ერობის წარმომადგენელთ და მოახსენა რამდენიმე სიტყვა: „ერობის მეურნეობა დიდ-მნიშვნელოვანი და უპირველესი საქმეა. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეს მთელ თქვენ ძალ-ღონეს ანდომებთ. მოხარული ვიქმნები აღმოგიჩინოთ ყოველგვარი დახმარება; ამასთან ვზრუნავ მთავრობის დაწესებულებათა მოქმედებათა გაერთიანებისათვის. გახსოვდეთ, რომ თქვენი მოწოდება სამეურნეო საქმის საჭიროებათა ადგილობრივ მოწყობაა. თუ ამ მოწყობას შეასრულებთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ გულითად განწყობილებას არ მოგაკლებთ“. დამსწრენი ამ სიტყვებს „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. საღამოს 8 საათზე მატარებლის სასადილოში გაიმართა უმაღლესი სადილი. ხვალ დილით ხელმწიფე იმპერატორი ადლუმზე წაბრძანდება.

პეტერბურგი. თუმცა ფინანსთა მინისტრმა ს. ი. ვიტტემ არ მოისურვა დღესასწაულების გადახდა იმის მინისტრობის 10 წლის შესრულების გამო, სამინისტროს უმთავრესმა მოხელეებმა მაინც ისარგებლეს შემთხვევით და მინისტრს ადრესი და ალბომი მიართვეს. მინისტრის ამხანაგის რომანოვსკის მიერ წაკითხულ ადრესში, სხვათა შორის, ნათქვამია: „თქვენი მოღვაწეობა, რომელიც მთელ განათლებულ ქვეყანას აოცებს და აკვირვებს, ჩვენ წინაშე იშლებოდა საოცარისა და დღემდე არ ნახულის ძალით. დიადი მოსაზრებანი, ღრმა ანალიზი ამ მოსაზრებათა, განზრახულის მხნედ განხორციელება, დაუღალავად ჩხრეკა-ძიება ახალ გზებისა რუსეთის მომავალის გასაუმჯობესებლად—ჩვენ ყველა ამის მოწმენი და მნახველნი ვიყავით“. მინისტრთან იყვნენ წარჩინებული მოხელენი, საკრედიტო და სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და დეპუტაცია ქალაქის გამგეობისაგან. მრავალ ქალაქის გამგეობისა და საკრედიტო დაწესებულებისაგან მიღებულ იქმნა დეპეშები, რომლებშიაც ატყობინებენ მინისტრის სახელობაზედ სტიპენდიების დაწესების შესახებ; მილოცვის დეპეშები მოვიდა აგრეთვე საფრანგეთის ფინანსთა მინისტრისა და უცხო სახელმწიფოს უმთავრეს საკრედიტო დაწესებულებისაგან.

კოპენჰაგენი. რუსეთის ადმირალი ლომენი, რომელიც მიწვეული იყო მეფესთან სადილად, უეცრად ავად გახდა: ფილტვებიდან სისხლი წასქდა; ავადმყოფი იქვე სასახლეში დააწვინეს.

მოსკოვი. ფინანსთა მინისტრის იუბილეს გამო ბირჟის კომიტეტმა ვაჭრებმა, სამინისტროს უწყების სასწავლებლებმა და სხ. მილოცვის დეპეშები გაუგზავნეს.

დღეს დანიელის მონასტერმა იდღესასწაულა 250 წლის შესრულება მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს წმ. დანიელის ნაწილები.

ივანოვო-ვოზნესენსკი. ს. ი. ვიტტეს იუბილეის გამო აქაურ სავაჭრო სკოლაში დაარსებულ იქნება იუბილიარის სახელზე სტიპენდია.

მელნიკოვო. აკურთხეს თურქესტანში პირველი ქარხანა სამეტალურგიო მრეწველობისა.

ვენა. დღეს აკურთხეს ძეგლი, რომელიც ქალაქმა დასდგა მათ უდიდებულესობათა ვენაში ყოფნის სახსოვრად.

ტიან-ძინი. 29 აგვისტოს საერთაშორისო რკინის გზის დირექტორი ბარონი კოპპე და გენერალი ვოლკოვი პეკინს წავიდნენ შანჰაი-გუანიდან ჯარების გამოყვანის საქმის გამო. მათ, ალბად, ქვრივი დედოფალი ინახულებს.

პარიზი. სპარსეთის შაჰი პარიზიდან მიდის კურსკში რუსეთის მხედრობის ადლუმებზე დასასწრებლად.

პეკინი. ორ ფრანგს, რომელნიც ლი-იუანის რკინის გზაზე მსახურებენ, პეკინსა და პაოტინფუს შუა სასიკვდილოდ სცემეს. დიდი ფული, რომელიც მათ თან ჰქონდათ, წაუღიათ.

31 აგვისტო

კურსკი. დღეს ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა სადგ. დიაკონოვზე ადლუმზე დასასწრებლად. სადგურზე ხელმწიფეს მიეგებნენ და მიესალმნენ მაზრის მცხოვრებლების დეპუტაცია, კურსკის მაზრის გამგეობის თავმჯდომარე და გლეხთა დეპუტაცია. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა უთხრა დეპუტაციებს და წაბრძანდა ადლუმზე.

ვილნო. სამეურნეო გამოფენა აკურთხეს. შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნეს დეპეშით თხოვნა უქვეშევრდომილესი ერთგულება მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს.

პარიზი. „ჟურნალ დე დება“, „გოლუა“ და „კურიე დე ლაბურს“ ვიტტეს მიერ სამინისტროს მმართვის შესახებ გრძნობით სავსე წერილებს სწერენ.

კონსტანტინეპოლი. ხმაა, ვითომც რუვიემ გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, რომ იგი გადაწყვეტით თხოულობს დაინიშნოს წლიურად გადასახადი, გაიგზავნოს პარიზში დელეგატები, და კანონიერად იცნან სინდიკატი, რომლის თავმჯდომარედ გოტტენგერია; წინააღმდეგ შემთხვევაში რუვიე უარს გამოაცხადებს ოსმალეთის ვალების შეერთებაზე.

პარიზი. ამბობენ, რომ პოლპოლკოვნიკი სენრემი სახელმწიფო საბჭოს საჩივარს წარუდგენს სამსახურიდან გადაყენების გამო.

„ფიგარო“ იუწყება რომ შესდგა „ლიგა წმ. მარტინისა“ სარწმუნოებისა და დევნილთა დასაცავად.

რიგა. რიგის ბირჟის საზოგადოებამ დაადგინა კომმერციულ სასწავლებლისათვის სახლი ააშენოს. ეღირება 416,000 მან.

ვენა. გუშინ მოსული გრაფი ალექსანდრე მუსინ-პუშკინი რესტორანში წაიქცა და ფეხი მოიტეხა.

კურსკი. მინისტრ პლევესთან იყვნენ საერობო უფროსები კურსკის გუბერნიისა. მინისტრმა გამოჰკითხა ყველა ნაწილის უფროსს მათი საჭიროების ამბავი. მინისტრმა დაათვალიერა თავად-აზნაურთა პანსიონი-თავშესაფარი.

პეტერბურგი. დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე და დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული საზღვარ-გარეთ წაბრძანდნენ.

მინუსინსკი. მინუსინსკიდან 80 ვერსის სიშორეზე იპოვეს მადანი აბრეშუმოვანი ასბესტისა.

ხაბაროვკა. მდინარე სუნგური ადიდდა.

სოსნოვიცი. 29 აგვისტოს ჩელიადზში, ქალაქ სოსნოვიცის ახლო, ვიღაც ბოროტგანზრახველს ფანჯარაში დაუდვია დინამიტი, რომელიც აფეთქდა და მოკლა ურიის ქალი, შიშისაგან უცებ მოკვდა სახლის პატრონი იაკუბოვსკისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 აგვისტოს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,40
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,25
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავად.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა	293½ „
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	87⅜ გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სათავადაზნ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89¼ „
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სათავად.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	178 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. ([illegible] ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

წიგნის მაღაზია
გუტენბერგი
(ლორის მელიქოვის ქ. № 11)

იყიდება სახელმძღვანელოები და სხვა-და-სხვა წიგნები.

ვინც ბევრ წიგნებს იყიდის ერთბაშად, პროცენტები დაეთმობათ. (3—1)

ზ ი ზ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
იყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
კაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილის.	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ცინკოგრაფია
წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 31 Августа, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).